საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/52
29 მაისი, 2020 წ.

ქ. ბათუმი

2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების წარდგენისა და საჯარო დაცვის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის", ,,საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ბსუ-ში სასწავლო პროცესის განხორციელების დამატებითი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 31 მარტის 01-02/39 ბრძანების, 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 6 აპრილის N01-02/42 ბრძანების, ,,სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის N01-149/ო ბრძანების, ,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანების, „საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 მაისის №321 დადგენილების და ,,,იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების და ,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის აღსრულებისათვის დამატებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 მაისის N01-02/50 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების წარდგენისა და საჯარო დაცვის თანდართული ინსტრუქციები, საბაკალავრო ნაშრომებისა **დანართი 1**-ის, ხოლო სამაგისტრო ნაშრომების - **დანართი 2**-ის შესაბამისად.

2. ეთხოვოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე) და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ ირაკლი კორძაიას წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციების შესრულების კონტროლი განახორციელონ

ინდივიდუალურად ან/და მათ მიერ განსაზღვრული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/დასაქმებულების მეშვეობით.

3. ბრძანების გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს სტუდენტებს გაცნობისათვის.

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს (ყველა დარგობრივი დეპარტამენტის და პერსონალისათვის გადასაცემად), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის
N 01-02/52 ბრძანების
დანართი 1

2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში
საბაკალავრო ნაშრომის წარდგენისა და საჯარო დაცვის ინსტრუქცია

1. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში საბაკალავრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილის **მე-14 მუხლის** (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება-წარდგენა), **მე-15 მუხლის** (საბაკალავრო ნაშრომის დაცვის პროცედურა) და **მე-16[1] მუხლის** (სასწავლო პროცესში პლაგიატის გამოვლინებისა და რეაგირების პროცედურა) მოთხოვნათა სრული დაცვით, წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებულ ვადებში.
2. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დარგობრივ დეპარტამენტში (შემდეგში ,,დეპარტამენტი") საბაკალავრო ნაშრომის (შემდეგში - ნაშრომი) წინასწარ განხილვაზე (აპრობაციაზე) დაშვების მიზნით, ბსუ-ს სტუდენტი ვალდებულია არაუგვიანეს **მე-16 სასწავლო კვირაში** - 2020 წლის 8-12 ივნისი) Moodle-ის პლატფორმაზე ატვირთოს ნაშრომი.
3. საბაკალავრო ნაშრომში პლაგიატის (40%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 80%-ისა - საშუალო სიმძიმის პლაგიატი) გამოვლენის შემთხვევაში, სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (შემდეგში - ხელმძღვანელი) იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ნაშრომის დაბრუნების, აპრობაციაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ, ხოლო შენიშვნებს, რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებას მიუთითებს Moodle-ის პლატფორმაზე (ნაშრომის ტექსტში ან/და კომენტარებში). სტუდენტი ვალდებულია ხელმძღვანელის რეკომენდაციებით გადამუშავებული საბაკალავრო ნაშრომი (ასეთი უფლების მინიჭების შემთხვევაში) **განმეორებით ატვირთოს** Moodle-ის პლატფორმაზე არაუგვიანეს **მე-17** სასწავლო კვირისა (2020 წლის 15-19 ივნისი).
4. **საბაკალავრო ნაშრომი ფასდება ,,0" ქულით** (F – ჩაიჭრა):
   ა) პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში 80%-ზე მეტი თანხვედრის (უხეში პლაგიატის) და ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის აპრობაციაზე დაუშვებლობის შემთხვევაში;
   ბ) განმეორებით წარდგენისას 40%-ზე მეტი მსგავსების გამოვლენის შემთხვევაში.
5. სამეცნიერო ხელმძღვანელი პირველად ან/და განმეორებით ატვირთული ნაშრომის გადამოწმების შემდეგ, არაუგვიანეს მე-17 სასწავლო კვირისა (2020 წლის 15-21 ივნისი) ამზადებს დასკვნას და უზრუნველყოფს ნაშრომთან ერთად დარგობრივ დეპარტამენტში წარდგენას (დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ბსუ-ს კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტაზე - ---- @bsu.edu.ge).

6. დეპარტამენტის საოქმო გადაწყვეტილებით განისაზღვრება ნაშრომის შემფასებელი **(რეცენზენტი)**, რომელიც შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს კვლევები შესაბამის დარგში, ან არის შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტი (პრაქტიკოსი) და მიეწოდება ნაშრომი სარეცენზიოდ. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს იმავე ნაშრომის ხელმძღვანელი.
7. რეცენზენტი მე-18 სასწავლო კვირაში (2020 წლის 22-27 ივნისი) დარგობრივ დეპარტამენტში (ხელმძღვანელთან, ბსუ-ს კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტაზე - @bsu.edu.ge) წარადგენს ნაშრომის შეფასებას.
8. საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვის (აპრობაციის) და საჯარო დაცვის ვადად განისაზღვროს შესაბამისად, მე-19 სასწავლო კვირა (2020 წლის 29 ივნისი-5 ივლისი - აპრობაციის კვირა) და მე-20 სასწავლო კვირა (2020 წლის 6 ივლისი - 11 ივლისი - საჯარო დაცვის კვირა).
9. სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს, მატერიალური სახით, უნივერსიტეტში წარადგენს დაცვის დღეს და ტოვებს ნაშრომის დაცვის კომისიასთან **(შემდეგში - კომისია)**. ნაშრომის დაცვის კომისია, შესაბამისი დარგის სპეციალისტების შემადგენლობით, იქმნება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.
10. საბაკალავრო ნაშრომის (მომზადება, გაფორმება, დაცვა) შეფასებისათვის განსაზღვრულია 100 ქულა და ის ნაწილდება რამდენიმე კომპონენტზე: შუალედური შეფასების ხვედრითი წილია მაქსიმუმ 60 ქულა. შუალედური შეფასება მოიცავს: ა) შუალედურ, საბაკალავრო ნაშრომის მიმდინარეობის შეფასებას -30 ქულა (აფასებს ხელმძღვანელი); ბ) რეცენზენტის შეფასება - 30 ქულა; საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე წარდგენილი ნაშრომის პრეზენტაცია (საჯარო დაცვა) ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. სტუდენტი თემას წარადგენს საჯარო დაცვის დღეს (ამისათვის განსაზღვრულ დროს) პრეზენტაციის ფორმით. სტუდენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე გასვლა სავალდებულოა.
11. დეკანი ბრძანებით იქმნება
12. კომისიის თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს სტუდენტის ვინაობას, ნაშრომის თემას, სპეციალობას და ხელმძღვანელს. ამის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სტუდენტს. სტუდენტის მოხსენებაში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ნაშრომის მიზნები, ამოცანები და ძირითადი შედეგები. ნაშრომის წარდგენისათვის მომხსენებელს ეძლევა 10-15 წუთი.
13. საბაკალავრო ნაშრომების დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ კომისია იწვევს დახურულ სხდომას, რომელზეც ფასდება თითოეული ნაშრომი. საჯარო დაცვის შეფასების კრიტერიუმებია: ა) თემის აკადემიური დონე - 10 ქულა; ბ) პრობლემის დასმა და წარმოჩენა - 10 ქულა; გ) დასკვნების არგუმენტაცია და დისკუსიაში მონაწილეობა - 10 ქულა; დ) პრეზენტაციის უნარი - 10ქულა.
14. დაცვის პროცედურის მსვლელობისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომს, საბოლოო შეფასება დგინდება თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. დაცვის შეფასება ფორმდება უწყისში.

15. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი გამოცხადებისთანავე. კომისია ვალდებულია პრეტენზია განიხილოს სტუდენტის თანდასწრებით და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.
16. საბაკალავრო ნაშრომი ითვლება შესრულებულად, თუკი ნაშრომის მიმდინარე შეფასებებისა და საჯარო დაცვაზე მიღებული შეფასება შეადგენს 51-დან 100 ქულას. თუ საბაკალავრო ნაშრომის მიმდინარე შეფასებებისა და საჯარო დაცვის ქულათა ჯამი შეადგენს 41-დან 50 ქულას, ან სტუდენტი არ გამოცხადდა საჯარო დაცვაზე, მას უფლება აქვს საბაკალავრო ნაშრომი კომისიას წარუდგინოს განმეორებით დაცვაზე.
17. სტუდენტის გამოუცხადებლობის, ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში სტუდენტი ითვლება ჩაჭრილად და იგი ვალდებულია განმეორებით დაარეგისტრიროს საბაკალავრო ნაშრომი.
18. დარგობრივი დეპარტამენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვის ეტაპზე პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში ნაშრომი არ შეფასდება და შესაბამისი გადაწყვეტილება წარედგინება ფაკულტეტის დეკანს. ნაშრომის რეცენზენტების მიერ ნაშრომის შეფასების ეტაპზე პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, ამის შესახებ მიეთითება რეცენზენტების დასკვნაში და წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს შემდგომი რეაგირებისათვის (ახორციელებს ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესითა და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ღონისძიებებს).

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის
N 01-02/52 ბრძანების
დანართი 2

2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში
სამაგისტრო ნაშრომის წარდგენისა და საჯარო დაცვის ინსტრუქცია

1. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში **სამაგისტრო ნაშრომი** უნდა შესრულდეს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილის **მე-14 მუხლის** (.საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება-წარდგენა), **მე-16 მუხლის** (სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის პროცედურები) და **მე-16[1] მუხლის** (სასწავლო პროცესში პლაგიატის გამოვლინებისა და რეაგირების პროცედურა) მოთხოვნათა სრული დაცვით, წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებული ვადებში.
2. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დარგობრივ დეპარტამენტში (შემდეგში „დეპარტამენტი") სამაგისტრო ნაშრომის (შემდეგში - ნაშრომი) წინასწარ განხილვაზე (აპრობაციაზე) დაშვების მიზნით, ბსუ-ს სტუდენტი ვალდებულია არაუგვიანეს **მე-16 სასწავლო კვირაში** - 2020 წლის 8-12 ივნისი) Moodle-ის პლატფორმაზე ატვირთოს ნაშრომი.
3. სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის (40%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 80%-ისა - საშუალო სიმძიმის პლაგიატი) გამოვლენის შემთხვევაში, სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (შემდეგში - ხელმძღვანელი) იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ნაშრომის **დაბრუნების, აპრობაციაზე დაშვების ან დაუშვებლობის** შესახებ, ხოლო **შენიშვნებს, რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებას მიუთითებს Moodle-ის პლატფორმაზე** (ნაშრომის ტექსტში ან/და კომენტარებში). სტუდენტი ვალდებულია ხელმძღვანელის რეკომენდაციებით გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი (ასეთი უფლების მინიჭების შემთხვევაში) **განმეორებით ატვირთოს** Moodle-ის პლატფორმაზე არაუგვიანეს **მე-17** სასწავლო კვირისა (2020 წლის 15-19 ივნისი).
4. **სამაგისტრო ნაშრომი ფასდება, როგორც** „არადამაკმაყოფილებელი":

ა) პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში 80%-ზე მეტი თანხვედრის (უხეში პლაგიატის) და ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის აპრობაციაზე დაუშვებლობის შემთხვევაში;

ბ) განმეორებით წარდგენისას 40%-ზე მეტი მსგავსების გამოვლენის შემთხვევაში.

5. სამეცნიერო ხელმძღვანელი პირველად ან/და განმეორებით ატვირთული ნაშრომის გადამოწმების შემდეგ, არაუგვიანეს მე-17 სასწავლო კვირისა (2020 წლის 15-21 ივნისი) ამზადებს **დასკვნას** და უზრუნველყოფს ნაშრომთან ერთად დარგობრივ დეპარტამენტში წარდგენას (დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ბსუ-ს კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტაზე ---- @bsu.edu.ge).
6. დეპარტამენტის საოქმო გადაწყვეტილებით განისაზღვრება ნაშრომის შემფასებელი (რეცენზენტი), რომელიც შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს კვლევები შესაბამის დარგში, ან არის შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტი (პრაქტიკოსი) და მიეწოდება ნაშრომი სარეცენზიოდ. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს იმავე ნაშრომის ხელმძღვანელი.
7. რეცენზენტი მე-18 სასწავლო კვირაში (2020 წლის 22-27 ივნისი) დარგობრივ დეპარტამენტში (ხელმძღვანელთან, ბსუ-ს კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტაზე - @bsu.edu.ge) წარადგენს ნაშრომის შეფასებას.
8. ნაშრომის წინასწარი განხილვის (აპრობაციის) და საჯარო დაცვის ვადად განისაზღვროს შესაბამისად, **მე-19 სასწავლო კვირა (2020 წლის 29 ივნისი-5 ივლისი - აპრობაციის კვირა) და მე-20 სასწავლო კვირა (2020 წლის 6 ივლისი - 11 ივლისი - საჯარო დაცვის კვირა).**
9. მაგისტრანტი საჯარო დაცვაზე დაიშვება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით, სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვის პროცედურის გავლის შემდეგ.
10. სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომს, მატერიალური სახით წარადგენს უნივერსიტეტში დაცვის დღეს და ტოვებს ნაშრომის საჯარო დაცვის კომისიასთან (შემდეგში - კომისია).
11. ნაშრომის საჯარო დაცვის კომისიის შემადგენლობაში შედის შესაბამისი დარგის აკადემიური ხარისხის მქონე 5 (ხუთი) პირი. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
12. თუ მაგისტრანტი საპატიო მიზეზით არ გამოცხადდა საჯარო დაცვაზე მას უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომი კომისიას წარუდგინოს განმეორებით დაცვაზე, დამატებით საგამოცდო პერიოდში.
13. ნაშრომის დაცვა არის საჯარო. სტუდენტი თემას წარადგენს პრეზენტაციის ფორმით (ნაშრომის წარდგენისათვის ეძლევა 15-20 წუთი (მაგისტრანტი აქცენტებს აკეთებს თემის აქტუალობაზე, სამეცნიერო სიახლეზე, მიზანსა და ამოცანებზე, ხაზი უნდა გაუსვას კვლევის ობიექტებსა და მეთოდებს და წარმოაჩინოს მიღებული შედეგები და დასკვნები).
14. კომისიის მიერ საჯარო დაცვის პროცესი აისახება შესაბამის ოქმში.
15. საჯარო დაცვაზე ნაშრომის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: კვლევის/პრობლემის აქტუალობა; მიღებული შედეგების მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება; ნაშრომის აკადემიური დონე; პრეზენტაციის უნარი.
16. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის დასრულებისთანავე იგი კომისიის მიერ ფასდება დახურულ სხდომაზე.
17. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

18. თუ სამაგისტრო ნაშრომი შეფასდა, როგორც არადამაკმაყოფილებელი (insufficient), სტუდენტს უფლება ეძლევა გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს იმავე სემესტრის დამატებით საგამოცდო პერიოდში.
19. თუ იმავე სემესტრის დამატებით საგამოცდო პერიოდში წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი შეფასდა, როგორც არადამაკმაყოფილებელი (insufficient), მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო (დამატებით) სემესტრში.
20. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში,

მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

21.. დარგობრივი დეპარტამენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვის ეტაპზე პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში ნაშრომი არ შეფასდება და შესაბამისი გადაწყვეტილება წარედგინება ფაკულტეტის დეკანს. ნაშრომის **რეცენზენტების** მიერ ნაშრომის შეფასების ეტაპზე პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, ამის შესახებ მიეთითება რეცენზენტების დასკვნაში და წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს შემდგომი რეაგირებისათვის (ახორციელებს ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესითა და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ღონისძიებებს).